გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
დადგენილება № 4

2025 წლის 14 თებერვალი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 დეკემბრის №28 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/12/2024; 010250050.35.148.016813) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ზ) გორის მუნიციპალიტეტში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ, მიუსაფარ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ 0-დან 18-წლამდე 4 შვილიანი ოჯახი, რომლის ერთერთი მშობელი და შვილები რეგისტრირებულნი არიან გორის მუნიციპალიტეტში.“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, განმცხადებლის და მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის სახელზე საცხოვრებელი ფართის რეგისტრაციის შესახებ:“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**